პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 249 (9409) | შაბათი, 18 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

„...ჩვენი პარტიის ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს, რადგან შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან“.

ი. სტალინი.

სისტემატურად გავაუმჯობესოთ და სრულყოთ კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება

ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ყრილობის მთელმა საქმიანობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხი მჭიდროდ არის დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და გამსჭვალულია მტკიცე გადაწყვეტილებით — თავდადებით იბრძოლოს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის. ყრილობამ მიიღო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მთელი საბჭოთა ხალხი იღებს როგორც თავის ყოველდღიურ საბრძოლო პროგრამას.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ყრილობის საბოლოო სხდომაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული შთამაგონებელი სიტყვა წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი მძლავრი წინსვლის, კომუნიზმის მშენებლობაში ახალი შესანიშნავი გამარჯვებების მოპოვების დიად პროგრამას.

უდიდესი ამოცანები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ დასახა, მოითხოვს მთელი პარტიული მუშაობის, მათ შორის პარტიული პროპაგანდის შემდგომ გაუმჯობესებას. პარტიული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის ცენტრში უნდა იდგეს პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მშრომელთა მობილიზაცია მეხუთე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტია, საბჭოთა ხალხი, ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის შთამაგონებელი სიტყვით შეიარაღებულნი, ახალი ენერგიით აჩაღებენ ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ამ დიადი პროგრამის განსახორციელებლად. ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანებთან დაკავშირებით კიდევ უფრო მაღლდება მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადების მნიშვნელობა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობისადმი ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა ამოცანად დასახა: **„მთელი ჩვენი კადრები, უკლებლივ ყველანი, მოვალენი არიან მუშაობდნენ თავიანთი იდეოლოგიური დონის ასამაღლებლად, ეუფლებოდნენ პარტიის მდიდარ პოლიტიკურ გამოცდილებას, რათა არ ჩამორჩნენ ცხოვრებას და იდგნენ პარტიის ამოცანების სიმაღლეზე. საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები მუდმივ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან მათი იდეური დონის ასამაღლებლად, ასწავლიდნენ მათ მარქსიზმ-ლენინიზმს, აყალიბებდნენ მათგან პოლიტიკურად მომზადებულ, შეგნებულ კომუნისტებს“.**

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შეთვისება ჩვენი კადრების, პარტიის თვითეული წევრისა და კანდიდატის გადაუდებელი ამოცანაა. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ყველა საბჭოთა ადამიანის ულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნების შემდგომი აღმავლობა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. სწორედ ამიტომ პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი უდიდეს მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენენ კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმისადმი. ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი ამისათვის, რომ კომუნისტებმა, ჩვენმა მრავალრიცხოვანმა კადრებმა სისტემატურად გაიუმჯობესონ და სრულყონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მომზადება. კადრებისათვის სტალინური ზრუნვის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს პარტიული განათლების ფართოდ მოწყობილი სისტემა, რომლის მეშვეობით ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მარქსისტულ-ლენინური სწავლება.

ორი კვირის წინათ, პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში, სწავლა განახლდა საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებსა და წრეებში, ხოლო 15 ოქტომბერს დაიწყო ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებში. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგების აღმოსაფხვრელად, პარტიული პროპაგანდის შეუფასებლობის აღსაკვეთად, ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ კომუნისტთა სწავლა წელს უფრო ორგანიზებულად და უფრო მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მიმდინარეობდეს.

საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში ახალი სასწავლო წლის პირველი დღეების შედეგების შემოწმებამ ცხადყო, რომ გასულ წლებთან შედარებით წელს სწავლა უფრო ორგანიზებულად დაიწყო, ამაღლდა მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე, იგრძნობა დისციპლინის განმტკიცება და პასუხისმგებლობის გაზრდა. ამასთან ერთად სწავლის დაწყების პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ იდეოლოგიურ მუშაობას, რომ ამის გამო მთელ რიგ ორგანიზაციებში ყველა ზომა არ მიიღეს ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად და დროულად დაწყებისათვის. ამ ნაკლოვანებების დროზე შემჩნევას და სასწრაფოდ გამოსწორებას, მათგან სათანადო დასკვნების გამოტანას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული განათლების საქმის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ პარტიულ განათლებაში მთავარია ხარისხი, მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონე. ამიტომ სწავლის დასაწყისიდანვე მეცადინეობის ხარისხს შეუნელებელი ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ ფოთის და რუსთავის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციებმა დავიწყებას მისცეს ეს მოთხოვნა, რის გამო აღნიშნული ქალაქების მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში პირველი მეცადინეობა დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოეწყო. სწავლის დაწყების პირველ დღეებში სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში. ბევრ პოლიტსკოლასა და წრეში პირველი მეცადინეობა მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას მიეძღვნა, როცა ამ საკითხების გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელი იყო სასწავლო წლის დაწყებამდე.

პარტიული სწავლების პირველი დღეების ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ყველა ზომა არ მიიღეს პროპაგანდისტთა კადრების შესარჩევად და მოსამზადებლად. ზოგიერთმა ქალაქკომმა მხოლოდ 30 სექტემბერს დაამტკიცა პროპაგანდისტები. გასაგებია, ასე სახელდახელოდ დამტკიცებული პროპაგანდისტი როგორი მომზადებული მივიდოდა 1 ოქტომბერს მეცადინეობაზე. ბათუმის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ კი ისე დაიწყო ახალი სასწავლო წელი, რომ 42 პროპაგანდისტი და კონსულტანტი კიდევ არ იყო დამტკიცებული.

პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა. ეს პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესონ პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა. მაგრამ ამ საქმეში, როგორც ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ბევრგან პროპაგანდისტთა სემინარები დაგვიანებით ტარდება, ამასთან სემინარებს პროპაგანდისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ესწრება. მაგალითად, ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში პროპაგანდისტთა სემინარის პირველი მეცადინეობა მხოლოდ სწავლის დაწყების წინადღეს მოეწყო.

პარტიული პროპაგანდის შემდგომი აღმავლობის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულმა ბიბლიოთეკებმა. მათი ამოცანაა უზრუნველყონ კომუნისტები სათანადო ლიტერატურითა და მასალებით, დაეხმარონ პროპაგანდისტებსა და კონსულტანტებს ლექციების, კონსულტაციებისა და სემინარების მოწყობით.

ამოცანა ის არის, რომ სისტემატურად გავაუმჯობესოთ და სრულყოთ ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება. კომუნისტთა პოლიტიკური დონის ამაღლება წარმოადგენს მათი ავანგარდული როლის გაძლიერების, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების, პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობას.

გამოიცა ლ. პ. ბერიას სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა: „ლ. ბერია. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე“.

ბროშურის ტირაჟია 30 ათასი ცალი. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით ეცნობიან პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ სიტყვას

★ ★ ★ ★

ბრძოლისა და შრომის შთამაგონებელი სიტყვა

ჟუთაისი. (ტელეფონით საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერის საამქროში ოცზე მეტი კაცი დაესწრო აგიტატორ ა. შალამბერიძის საუბარს. მეავტომობილეები გულდასმით გაეცნენ ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, მშობლიური სტალინის სიტყვას. სტახანოველმა ბ. ვაშაკიძემ, რომელმაც გასული წლის 18 აგვისტოს პირველი ქართული ავტომობილი გადმოიყვანა ქარხნის მთავარი კონვეიერიდან, განაცხადა:

— დიდი სტალინი ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. ამხანაგ სტალინს საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიჰყავს წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ. ბელადის ისტორიული სიტყვა ჩვენი ყოველდღიური შრომისა და ბრძოლის სახელმძღვანელოა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებს ბელადის ამ ისტორიულ სიტყვას. ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 400 პროცენტით გავანაღდო.

— სიტყვები არ მყოფნის, — განაცხადა წარჩინებულმა ამწყობმა გ. სტეპანენკომ, — გამოვხატო ის აღფრთოვანება და სიამაყე, რომელსაც მშობლიური სტალინის ისტორიული სიტყვის გამო განვიცდი. დიდი ბელადის ისტორიული სიტყვის საპასუხოდ ვკისრულობ ყოველდღიური დავალება სამშაგად შევასრულო და დიდად გავაუმჯობესო პროდუქციის ხარისხი.

აბრეშუმკომბინატის ფეიქრებმა ბაბილინა ნიკოლეიშვილმა, ციალა კახაძემ, ელენე ჯიმშელეიშვილმა 15 ოქტომბერს, ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე, რადიოთი გულდასმით მოისმინეს დიდი ბელადის ისტორიული სიტყვა და მტკიცედ გადაწყვიტეს გაალიერონ მუშაობა ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად. მოწინავე მქსოველებმა სიტყვა საქმედ აქციეს, 15 ოქტომბერს გეგმის გადამეტებით ათობით მეტრი ქსოვილი გამოუშვეს.

მშობლიური სტალინის სიტყვამ დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია აგრეთვე მანქანათმშენებელი, საკონსერვო და ლიტოპონის ქარხნების კოლექტივებში.

დიდი ბელადის შთამაგონებელი სიტყვითა და პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული ქუთაისის მშრომელები თავდადებით მუშაობენ ახალი წარმატებებისათვის, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

დიდი სტალინის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). საბჭოთა აჭარის მშრომელები უდიდესი სიხარულითა და სოციალისტური სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით ადევნებდნენ თვალყურს პარტიის XIX ყრილობის მუშაობას. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ასობით აგიტატორი ოდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა ყრილობის მასალების გასაცნობად.

ცნობამ ყრილობაზე საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გამოსვლის შესახებ აჭარის მშრომელთა უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები გულდასმით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, მშობლიური სტალინის ისტორიულ სიტყვას. ქარხანაში 80 აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა აგიტაციას პარტიის XIX ყრილობის მასალების გასაცნობად. მეორე საამქროს წარჩინებულმა ოპერატორმა ვ. ჩოლოყავამ აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ განაცხადა:

— დიდი ბელადის შთამაგონებელმა სიტყვამ ბათუმელი მენავთობეების, ისე როგორც მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მშრომელების, მძლავრი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. ჩვენ მზად ვართ მთელი ენერგიით ვიმუშაოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული დიადი პროგრამის განხორციელების საქმეში. გავეცანი რა დიდი სტალინის სიტყვას, დავდექი სტახანოვურ ვახტზე და 15 ოქტომბერს დავალება 118 პროცენტით გავანაღდე. ჩვენი საამქროს კოლექტივი კისრულობს ვადაზე ადრე გაანაღდოს ოქტომბრის გეგმა და დედასამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ნავთპროდუქტები.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. სურათზე: ამწყობი საამქროს აგიტატორი თ. უსანეთაშვილი მუშებს უკითხავს გაზეთს, რომელშიც გამოქვეყნებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვა პარტიის XIX ყრილობის საბოლოო სხდომაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი გულმოდგინებით ეცნობიან და სწავლობენ დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას, ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც შეჯამებულია პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, დასახულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამა.

კიროველმა ჩარხმშენებლებმა პირნათლად შეასრულეს XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. ჩარხმშენებელთა შრომითი აქტივობა კიდევ უფრო გაიზარდა ამ დღეებში. ქარხნის კოლექტივის მძლავრი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ ყრილობაზე წარმოთქმულმა ისტორიულმა სიტყვამ. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. გაზრდილი ვალდებულებები იკისრა საწარმოს ყველა მუშამ.

მესამე ამწყობ საამქროში აგიტატორ თ. უსანეთაშვილის საუბრის დამთავრების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ზეინკალი გ. ბუხრიკიძე, რომელმაც განაცხადა:

— კომუნიზმის ბრძენი ხუროთმოძღვრის მშობლიური სტალინის სიტყვა ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი პროგრამაა, რომელიც საბჭოთა ხალხს რაზმავს კომუნიზმის მშენებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებს აღაფრთოვანებს მშვიდობისათვის, ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად. დიდი ბელადის სიტყვა და ყრილობის გადაწყვეტილებები გვავალებს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მანქანა-დანადგარების წარმადობა, გავაუმჯობესოთ დეტალების დამუშავების ტექნოლოგია, განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება. პირადად მე ვკისრულობ ოქტომბრის გეგმის სამმაგად შესრულებას.

დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვით აღფრთოვანებული პირველი მექანიკური საამქროს კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა და იკისრა ოქტომბერში გეგმის გადამეტებით დაამზადოს და ასაწყობად გადასცეს ხრახნსაჭრელი ჩარხის 20 კომპლექტი, 10 პროცენტით დაზოგოს ელექტროენერგია, მინიმუმამდე შეამციროს წუნი. საამქროს ახალგაზრდა მრანდავმა ბ. ჩიტაიშვილმა, რომელიც ხრახნსაჭრელი ჩარხის რთულ ნაწილს — სიჩქარის კოლოფს რანდავს, იკისრა ყოველდღიურად შვიდის ნაცვლად 22 კოლოფი დაამუშაოს.

სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ლითონმსხმელმა უ. სინაურიძემ, ჩქაროსანმა ხარატმა ა. აგაჯანოვმა, ხარატებმა ი. ფეოდორენკომ, გ. მაისურაძემ და სხვებმა.

პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებანი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის შთამაგონებელი სიტყვა ქარხნის კოლექტივს საბჭოთა სამშობლოს საოიოიბლად ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს.

ქართველი მეფოლადეები ამ დღეებში

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივმა, რომელმაც ჯერ კიდევ ყრილობისათვის მზადების პერიოდში ისახელა თავი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით, ახლა კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ქართველი მეფოლადეები გულდასმით ეცნობიან ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას, ყრილობის გადაწყვეტილებებს და, პარტიის ბრძნული პოლიტიკით აღფრთოვანებულნი, გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობენ.

— კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით,—განაცხადა მოწინავე მეფოლადემ ა. ფანცულაიამ, — საბჭოთა ხალხმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია. პარტიის XIX ყრილობამ დაგვისახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის უმაგალითო აღმავლობის, კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამა. ამიტომ გვიყვარს ჩვენ მშობლიური კომუნისტური პარტია. მე გადავწყვიტე გავხდე სახელოვანი კომუნისტური პარტიის წევრი და ჩემს ცხოვრებაში ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა აღვნიშნო იმით, რომ ოქტომბერში გეგმის გადამეტებით მივცე სამშობლოს რამდენიმე ათეული ტონა ფოლადი.

ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსანიშნავად და ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის საპასუხოდ ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე მეფოლადეებმა შ. კუხალეიშვილმა, გ. ბერეკაშვილმა, ტ. შენგელიამ, შ. შუბითიძემ, ა. ბაინდურაშვილმა და სხვებმა.

მარგანეცის ტრესტმა ვადამდე შეასრულა 10 თვის გეგმა

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჭიათურელმა მადაროელებმა სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. მარგანეცის ტრესტმა ვადაზე ადრე, 13 ოქტომბერს შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ათი თვის გეგმა.

გეგმების შესრულება

ახალციხის რაიონმა 100,8 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა, რძის — 104,4 პროცენტით, ბრინჯა ყველის — 106, კვერცხის — 104,6, მატყლის — 100, თივის — 120 პროცენტით და ტყავის: მსხვილის — 104,4 პროცენტით, წვრილის — 100,6 პროცენტით. ჩაბარება გრძელდება.

• • •

ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 100,7 პროცენტით შეასრულა ყურძნის მოსავლიანობის წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.520 ცენტნერისა მოკრიფა 9.586 ცენტნერი ყურძენი. ყურძნის კრეფა გრძელდება.

• • •

სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 12 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

• • •

მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 102 პროცენტით შეასრულა ყურძნის მოსავლიანობის წლიური გეგმა.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 10 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

• • •

ლაგოდეხის რაიონმა 101,3 პროცენტით გაანაღდა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა. ყურძნის დამზადება გრძელდება.

• • •

გარეუბნის რაიონმა 100,3 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების წლიური გეგმა. კარტოფილის ჩაბარების დავალება განადგდებულია 102,8 პროცენტით. სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარება გრძელდება.

• • •

ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებმა 168,1 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური დავალება. გრძელდება მატყლის ჩაბარება.

• • •

საჩხერის რაიონმა 101,5 პროცენტით გაანაღდა კვერცხის დამზადების წლიური გეგმა.

• • •

წალკის რაიონმა 15 ოქტომბრისათვის 106,6 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

საშემოდგომო ხორბლის თესვა გრძელდება.

ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება

მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდა სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხნის კოლექტივმა. მუშათა ეს საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა ერთი წუთითაც არ ნელდება. აგიტატორები მ. კასრაძე, მ. სარიშვილი, ბ. ახვლედიანი და სხვები მუშა-მოსამსახურეებს გულდასმით აცნობენ მშობლიური სტალინის სიტყვას, ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ესაუბრებიან მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით დასახულ დიად ამოცანებზე. ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით, კომუნიზმის მშენებლობის დიადი პერსპექტივებით, დიდი სტალინის შთამაგონებელი გამოსვლით აღფრთოვანებული ქარხნის მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები პირობას იძლევიან იშრომონ გაორკეცებული ენერგიით, თავიანთი წვლილი შეიტანონ საყვარელი სამშობლოს შემდგომი წინსვლის საქმეში.

ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში შეაჯამა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგები და ერთსულოვნად გადაწყვიტა გაჩაღოს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე თვის გეგმა შეასრულოს 26 ოქტომბრისათვის, შემოგომ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს თვითღირებულება, გაუმჯობესოს ხარისხი და კვლავაც შეინარჩუნოს „საკავშირო ხარისხის პროდუქციის საწარმოს“ წოდება, რომელიც ქარხანას მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიეკუთვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის XIX ყრილობა

ამხ. ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტი, პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი და ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების შესახებ სსრ კავშირში, რომელიც ყრილობის წინ გამოქვეყნდა, სტალინის ძლიერი გენიით გვინათებს როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის განვლილ გზას, ისე სულ უფრო აშკარად ხელშესახები კომუნისტური მომავლისაკენ წინსვლის გზას.

ჩვენი მძლავრი პარტია, რომელიც შეიკრიბა თავის XIX ყრილობაზე, დამსახურებული დიდებით მოსავს იმას, ვინც ჩვენ აღგვზარდა, დაგვრაზმა, გადაგვალახვინა ყველა სიძნელე და განსაცდელი და მტკიცე რწმენით მიგვიძღვის კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ, — დიდებით მოსავს გენიალურ სტალინს, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს. **(მქუხარე ტაში).**

სტალინის ახალ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების შესახებ სსრ კავშირში“, იდეების ამ საგანძურში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა და მკაფიოდ ჩამოაყალიბა.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსია უმაღლესი მოგების უზრუნველყოფა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის გზით. ამის საწინააღმდეგოდ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსია მთელი საზოგადოების განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და გაუმჯობესების გზით.

ამხანაგმა სტალინმა აგრეთვე განსაზღვრა სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილი, პროპორციული განვითარების, ჩვენთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ძირითადი კანონის მნიშვნელობა. მან ცხადყო, რომ ამ კანონის მოქმედებამ სრული გაქანება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემყარება სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების არსი და ამით კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი პარტია, განამტკიცა მისი პოლიტიკის მეცნიერული საფუძველი.

ამხანაგმა სტალინმა დროზე გადაასხა ცივი წყალი იმ მეცნიერებე ამხანაგებს, რომლებსაც თავბრუ დაეხვათ ჩვენი უდიდესი წარმატებებისაგან. მათ წარმოიდგინეს, რომ ახლა უკვე აღარ მოქმედებენ ობიექტური ეკონომიკური კანონები, რომ ახლა კანონებს თვითონ ისინი წერენ, და ამან, არსებითად, ისინი მიიყვანა იდეალისტური ფილოსოფიის ბანაკში, მიიყვანა ავანტიურიზმამდე სამეურნეო პოლიტიკაში.

ამხანაგმა სტალინმა ამომწურავად ამხილა არევდარევა ზოგიერთი იმ ამხანაგის თავში, რომელთაგან ზოგი ამტკიცებს, რომ ღირებულების კანონი საერთოდ არ მოქმედებს სოციალიზმის დროს, სხვებს კი ღირებულების კანონის მთელი ძალით მოქმედება ბრმად გადაპქონთ სოციალისტურ და თითქმის კომუნისტურ სინამდვილეშიც.

ამხანაგმა სტალინმა ზუსტად და ნათლად გვიჩვენა, რომ ღირებულების კანონი ჩვენში კვლავ მოქმედებს, რამდენადაც რჩება სასაქონლო წარმოება. მაგრამ ამ კანონის მოქმედების სფერო ზუსტად განსაზღვრულია და ჩაყენებულია ჩარჩოებში, რადგან ჩვენი სასაქონლო წარმოება წარმოადგენს განსაკუთრებული სახეობის სასაქონლო წარმოებას, რომლის მოქმედების სფერო განსაზღვრულია პირადი მოხმარების საგნებით.

ამხანაგ სტალინის ახალი შრომა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზები.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ ჩვენს საქონლის მიმოქცევას საფუძვლად უდევს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის — საერთოსახალხო და საკოლმეურნეო-ჯგუფობრივი ფორმების განსხვავება, და განსაზღვრა საერთოსახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო საკუთრების ამაღლების გზები, რის საფუძველზეც საქონლის მიმოქცევამ თანდათან უნდა დაუთმოს ადგილი პროდუქტების გაცვლას. ამას მოჰყვება აგრეთვე ღირებულების კანონის და სასაქონლო მეურნეობის სხვა ატრიბუტების მოქმედების შეწყვეტა.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ არსებობს პროდუქტების გაცვლის ჩანასახები მებაბეობის, მესელეობის, მეჭარხლეობისა და სხვა კოლმეურნეობებთან სახელმწიფოს ხელშეკრულებათა საშუალებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „დასაქონლების“ ჩვენს პრაქტიკაში. მისი გეგმით ეს ჩანასახები უნდა მოეწყოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და განვითარდეს პროდუქტების გაცვლის ფართო სისტემად, რათა კოლმეურნეობებმა თავიანთი პროდუქციისათვის მიიღონ არა მარტო ფული, არამედ, უმთავრესად, საჭირო ნაკეთობანი, სახელმწიფოს განკარგულებაში მათი დაგროვების კვალობაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს სავაჭრო-დამამზადებელი ორგანოების მუშაობის დიდი გარდაქმნა ქალაქსა და სოფელს შორის გაცვლის დარგში.

საჭიროა, როგორც ამხანაგი სტალინი გვირჩევს, მაინცდამაინც არ ავჩქარდეთ, მაგრამ განუხრელად და უყოყმანოდ „გამოვრიცხოთ საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი საქონლის მიმოქცევის სისტემიდან და ჩავრიცხოთ იგი სახელმწიფო მრეწველობასა და კოლმეურნეობებს შორის პროდუქტების გაცვლის სისტემაში“, ესე იგი თანდათანობით შევამციროთ საქონლის მიმოქცევის მოქმედების სფერო და გავაფართოოთ პროდუქტების გაცვლის მოქმედების სფერო, შევიტანოთ საერთოსახელმწიფოებრივ დაგეგმაში საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოვამზადოთ შრომის პროდუქტების განაწილების კომუნისტურ წესზე თანდათანობით გადასვლა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, „დასაქონლება“ ხელსაყრელია კოლმეურნეობებისათვის, და ამიტომ პროდუქტების გაცვლის სისტემის გავრცელება ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობაზე მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს კოლმეურნე გლეხობას.

მსოფლიო ისტორიის და ჩვენი სამშობლოს ისტორიის თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია იცხოვრო, აშენო და იბრძოლო ისე, თუ ღრმად არ აითვისე ყოველივე ის ახალი, რაც მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში შეიტანა ამხანაგმა სტალინმა საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და გზების შესახებ. **(ტაში).**

მეცნიერების კაშკაშა შუქით გვინათებს ამხანაგი სტალინი ჩვენს ცხოვრებას, გვაძლევს მოქმედების პროგრამას და წარმართავს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „სოციალიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე, უფრო მაღალი ნაყოფიერებისა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, პროდუქტებისა და მოხმარების ყოველგვარი საგნების სიუხვის ბაზაზე, საზოგადოების ყველა წევრის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ბაზაზე“.

ჩვენმა პარტიამ მიაღწია ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ამაღლებას.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ დიდ განვითარებას.

ჩვენი კვების მრეწველობის განვითარების დამახასიათებელი თავისებურება გახდა კვების ყველაზე ძვირფასი პროდუქტების გამოშვების უფრო სწრაფი გადიდება. ეს სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებას.

ჩვენში სწრაფად დიდდება ისეთი პროდუქტების წარმოება და მოხმარება, როგორიც არის ხორცის, რძის პროდუქტები, თევზი, ბოსტნეული, ხილი, შაქარი და სხვა, რაც უკვე თავს იჩენს პურის წარმოების უფრო ნელი ზრდით.

სწორედ ასევე მოსახლეობის მოთხოვნილება უბრალო სახის ბამბეულის ქსოვილებზე იცვლება მაღალხარისხოვანი შალის, აბრეშუმის, ხელოვნური ბოჭკოს და მაღალხარისხოვანი ბამბის ქსოვილების მოთხოვნილებით.

მთლიანად დაკმაყოფილებულია მოთხოვნილება ისეთ საქონელზე, როგორიც არის მარილი, ასანთი, ნავთი საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და ამიტომ მათი წარმოება ნელა გაიზრდება. სულ ცოტა ხნის წინათ კი ამ საქონლით სოფლის მომარაგება განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო.

სახალხო მოხმარების გაუმჯობესება განსაზღვრავს იმას, რომ ხორბლის პურის ცხობა სერიოზულად იზრდება, ჭვავის პურისა კი მცირდება. ამასთან ხორბლის ცალობრივი პურ-ფუნთუშეულის წარმოება 1952 წელს ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა 1940 წელთან შედარებით და კვლავ გადიდდება.

სწრაფი ტემპით იზრდება საქარხნო პურის ცხობა, რაც სულ უფრო მეტად ცვლის შინამრეწველურ და შინაურ პურის ცხობას.

დამახასიათებელია, რომ 1936 წელს სამრეწველო წარმოების პურით მარაგდებოდა 353 ქალაქი, ხოლო 1952 წელს—1.104, ესე იგი 751 ქალაქით მეტი, ვიდრე 1936 წელს. ჩვენს პურსაცხობ მრეწველობაში ფართო მასშტაბით ინერგება წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. წარმოების ძირითადი პროცესები მექანიზებული და ავტომატიზებულია 78-98 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის ეს მუშაობა მთლიანად დამთავრდება.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია პურის მრავალი ახალი ქარხნის აშენებლობა იმ რაიონებში, რომლებიც ამის ნაკლებობას განიცდიან, — ასეთი რაიონები ჯერ კიდევ არის.

პურსაცხობი მრეწველობის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქში გაუმჯობესონ პურისა და პურ-ფუნთუშეული ნაწარმის ასორტიმენტი, გემო და ნოყიერება, აამაღლონ წარმოების კულტურა მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა დონემდე, ხოლო ამ ქალაქებში—შემდგომი ნაბიჯი გადადგან წინ.

ჩვენში ძალიან ჩამორჩება ბოსტნეულისა და კარტოფილის ხმობა. ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებულ იქნა დიდი პროგრამა კარტოფილისა და ბოსტნეულის სახმობი თანამედროვე ქარხნების მშენებლობისა, რომელთა საერთო სიმძლავრე ხუთწლედის დამლევისათვის საშუალებას მოგვცემს წელიწადში გადავამუშაოთ 1.100 ათასი ტონა უმი კარტოფილი და ბოსტნეული. ეს უზრუნველყოფს კარტოფილისა და ბოსტნეულის შეტანას ჩვენი ქვეყნის შორეულ და ჩრდილოეთ რაიონებში და უზრუნველყოფს მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას სეზონის მიუხედავად.

დასახულია აგრეთვე გაყინული ბოსტნეულისა და ხილის წარმოების სწრაფი ზრდა.

ხორცის ცენტრალიზებული საბაზრო ფონდი 1952 წელს 1948 წელთან შედარებით — ბარათების გაუქმების შემდეგ პირველ წელთან შედარებით—გადიდდა 2,3-ჯერ. მეხუთე ხუთწლიანი გეგმით ხორცის გამომუშავების ზრდის ტემპი შეადგენს წელიწადში საშუალოდ სულ ცოტა 14 პროცენტს და ხუთწლედის დამლევისათვის ხორცი უნდა გამოვუშვათ ერთიორად მეტი, ვიდრე 1940 წელს.

თუ შეერთებულ შტატებში ხორცის წარმოება 1951 წელს 1946 წელთან შედარებით 437 ათასი ტონით შემცირდა, სამაგიეროდ საბჭოთა კავშირში ამავე პერიოდში ხორცის წარმოება გადიდდა 709 ათასი ტონით.

უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში ხორცის პროდუქციის დიდი ზრდისა, მთელ რიგ ქალაქებში მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცის პროდუქტებზე ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაკმაყოფილებული, რადგან მოთხოვნა წარმოებაზე სწრაფად იზრდება.

ახლა, როცა საბოლოოდ გადაწყვეტილია მარცვლეულის პრობლემა, როგორც ეს სავსებით სწორად თქვა ამხ. მალენკოვმა, ჩვენ შეგვიძლია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ და კიდევაც უნდა მივაქციოთ მეცხოველეობის სწრაფ ზრდას, მსუქანი საბორცე პირუტყვის სულ უფრო დიდი რაოდენობით გაზრდას და რძის სიუხვის მიღწევას. ხორცის წარმოების გადიდების საქმეში ხორცის მრეწველობის მუშაკებთან ერთად გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკებს.

თევზის ჭერა 1952 წელს 1940 წელთან შედარებით თითქმის 70 პროცენტით გადიდდა.

თევზსარეწი ფლოტის სიმძლავრე 1952 წელს ომამდელთან შედარებით 3,2-ჯერ გადიდდა, ხოლო 1955 წელს 4,5-ჯერ და უფრო მეტად გადაჭარბებს ომამდელს.

ზღვაში თევზის ჭერა ახლა შეადგენს მთელი თევზჭერის 66 პროცენტს ნაცვლად ომამდელი 48 პროცენტისა.

გაიზარდა მამაც მეზღვაურ-მებადურთა არმია, რომლებიც სამშობლოსადმი სამსახურის დროს ყოველგვარ ამინდში, სიწყნარესა თუ ქარიშხალში, ყინვასა თუ წვიმაში, ზღვის სტიქიასთან ბრძოლაში გვიჩვენებენ გმირული შრომის ნიმუშებს, მამაცობასა და გამბედაობას. თუ ახლო წარსულში მეტწილ მებადურებს მოეთხოვებოდათ იალქნიანი ნავებისა და თევზსაჭერი ბადეების ხმარების ცოდნა, ახლა მოეთხოვებათ თანამედროვე თვითმავალი საზღვაო გემების მართვის ოსტატობა, რომლებიც აღჭურვილია თევზსაჭერი სრულყოფილი იარაღებით. ასეთი გემების მართვისათვის უკანასკნელ წლებში მომზადდა მრავალი კვალიფიციური მუშაკი — გემმძღოლები, შტურმანები, გემის მექანიკოსები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არა გვყავს. ამჟამად ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობიდან ამ პროფესიებს სწავლობს 12,8 ათასზე მეტი კაცი, ნაცვლად 1940 წლის 740 კაცისა.

მაგრამ თუ თევზის ჭერა კარგად იზრდება შორმანსკისა და ბალტიის ზღვის აუზებში, ეს საქმე ჯერ კიდევ სუსტად არის აზოვ-შავი ზღვის, კასპიისა და შორეული აღმოსავლეთის აუზებში.

თევზის მრეწველობის წინაშე დგას დიდი ამოცანა—მოაწყოს თევზის სამრეწველო მოშენება საბჭოთა კავშირის წყალსატევებში. დონზე, ვოლგაზე, დნეპრზე, მტკვარზე და ამუ-დარიაზე ჰიდრომშენებლობასთან დაკავშირებით უდიდესი წყალსაცავების შექმნა შესაძლებელს გახდის თევზის მეურნეობით დაიწყოს თევზის მომშენებელი ქარხნებისა და მეურნეობების მშენებლობა.

მაგრამ თევზის მრეწველობის სამინისტრო აგვიანებს აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას.

თევზის რესურსების გადიდების დიდი შესაძლებლობანი აქვს საგუბურო მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო არტელებში გუბურების მშენებლობის დიდი გეგმისა და მათი მაღალი პროდუქტიულობის გამო, რაც ჩანს, კურსკისა და კიევის ოლქებისა და კრასნოდარის მხარის თევზის მეურნეობათა მუშაობის მაგალითით, სადაც არის მთელი რიგი მეთევზეობის მეურნეობანი, რომლებმაც წელიწადში თითო ჰექტარ წყალსატევზე მოაშენეს 15-20 ცენტნერი თევზი.

ყველა შესაძლებლობაა უზრუნველყოთ თევზის ჭერის გადიდების და მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქტების გამოშვების უფრო მაღალი ტემპი, არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი და ომამდელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გავაღიდოთ თევზის ჭერა. ამისათვის საჭიროა გავამაგროთ და ავაშენოთ ახალი სანაპირო ბაზები, რომლებიც მომსახურებას უწევენ თევზსაჭერ ფლოტს, უფრო მეტი ავაშენოთ თევზის გადამამუშავებელი საწარმოები, გავაძლიეროთ თევზის ჭერისა და დამუშავების მექანიზაცია, გავაფართოოთ საბინაო მშენებლობა მეთევზეებისათვის.

თუ ერბო-კარაქის წარმოება შეერთებულ შტატებში 1951 წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით 281 ათასი ტონით შემცირდა, საბჭოთა კავშირში ერბო-კარაქის წარმოება ამავე პერიოდში გადიდდა 132 ათასი ტონით, თუ არ ჩავთვლით შინაური წარმოების მნიშვნელოვანი რაოდენობის ერბო-კარაქს.

ხუთწლედის უკანასკნელ წელს ერბო-კარაქის წარმოება სსრ კავშირში გაიზრდება 2,7-ჯერ, ხოლო ყველისა—ერთისამად და უფრო მეტად, მარგარინისა—ერთისამად ომამდელთან შედარებით.

მოსალოდნელი იყო, რომ ცხიმეულის წარმოების ასეთი სწრაფი ზრდის დროს ჩვენ წავაწყდებოდით რეალიზაციის სიძნელეებს. მაგრამ ეს არ მოხდა იმის გამო, რომ მოსახლეობის მყიდველობითი უნარი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საბაზრო ფონდები. მთელ რიგ რაიონებში მოთხოვნა ცხიმეულზე, განსაკუთრებით ერბო-კარაქზე, ახლა ჯერ კიდევ მთლიანად არ კმაყოფილდება.

კონსერვების წარმოება 1952 წელს გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, ხოლო 1955 წელს გადიდდება ერთისამად, ამასთან თევზისა და ხორცის კონსერვებისა ერთიხუთად და უფრო მეტად ომამდელ 1940 წელთან შედარებით.

ზამთრის პერიოდში მოსახლეობის რძით მომარაგების სეზონური კლების ლიკვიდაციისათვის სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესქელებული და მშრალი რძის წარმოებას. 1952 წელს შესქელებული და მშრალი რძის წარმოება ერთიორად გადიდდა, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის ერთიხუთად გადიდდება 1940 წელთან შედარებით.

შაქრის მრეწველობა კვების მრეწველობის სხვა დარგებზე უფრო დაბარალდა გერმანული ოკუპაციისაგან. ომამდე არსებული 211 შაქრის ქარხნიდან 196 ქარხანა მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა და შაქრის გამოშვება 1943 წელს თითქმის ერთიოცად შემცირდა ომამდელ დონესთან შედარებით.

ახლა შაქრის მრეწველობა აღდგენილია, აიგო ყველაზე მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ახალი ქარხნები. 1952 წელს შაქრის წარმოება 50 პროცენტზე მეტით გადააჭარბებს 1940 წლის დონეს, ხოლო ახალი ხუთწლედის ბოლოსთვის იგი ერთიორად გადიდდება ომამდელთან შედარებით.

ჭარხლის შაქრის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951 წელს წინა 1950 წელთან შედარებით შემცირდა 338 ათასი ტონით, საფრანგეთში—142 ათასი ტონით, მაშინ როცა ჩვენში შაქრის წარმოება ამ ხნის განმავლობაში 454 ათასი ტონით გადიდდა. 1951 წელს ჩვენში ჭარხლის შაქრის გამომუშავებამ 40-ზე მეტი პროცენტით გადააჭარბა ჭარხლისა და ლერწმის შაქრის მთელ გამომუშავებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჭარხლის შაქარი სსრ კავშირში 1952 წელს გამომუშავებულ იქნება უფრო მეტი, ვიდრე ასეთი შაქარი 1951 წელს გამოიმუშავეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ინგლისში ერთად. **(ტაში).**

საჭიროა კვლავაც გავადიდოთ შაქრის ჭარხლის ნათესები, მოსავლიანობა და მისი შაქრიანობა, აგრეთვე მზესუმზირას ნათესები და მისი ზეთიანობა.

უკრაინაში იმის მეოხებით, რომ კოლმეურნეებს დიდად უყვართ შაქრის ჭარხლის კულტურა და უკრაინის ორგანიზაციები უნარიანად ხელმძღვანელობენ ამ საქმეს, ჭარხლის მოსავალი უკანასკნელ წლებში უზრუნველყოფს შაქრის გამომუშავების გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებას. ეს არ შეიძლება ითქვას მეჭარხლეობის ზოგიერთ სხვა რაიონზე, განსაკუთრებით ალტაის მხარესა და კურსკის ოლქზე, სადაც ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ ჭარხლის მოყვანისათვის. ყირგიზეთმა, უზბეკეთმა თუმცა ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ისინი მაინც ვერ იყენებენ ყველა თავის შესაძლებლობას, ხოლო შარშან ომამდელზე ნაკლები მოსავალიც კი მიიღეს.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მოსახლეობის კვების ბაუმჯობესებასთან ერთად საჭირო ხდება აგრეთვე გადიდდეს წარმოება ყოველგვარი სასმელებისა, რომლებიც მადას აუმჯობესებენ. **(გამოცოცხლება დარბაზში, სიცილი, ტაში).**

ყურძნის ღვინის წარმოება 1952 წელს 39 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით, ხოლო ახალი ხუთწლედის ბოლოსთვის თითქმის ერთიორად გადააჭარბებს ომამდელ დონეს. შამპანურისა და კონიაკის წარმოება 1952 წელს ერთიორად გადიდდა, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის 3,5-ჯერ გადიდდება. ლუდის გამომუშავება გადიდდა 42 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის ერთიორად გადიდდება. არყის წარმოება ჩვენში ახლა რამდენადმე უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე ომამდე იყო და მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად რამდენადმე უფრო ნელა იზრდება, მაგრამ მაინც იზრდება. **(გამოცოცხლება დარბაზში, სიცილი).**

მიმდინარე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვების განწონილ-შეფუთული პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოების სერიოზულ გადიდებას.

ხალხს ძალიან უყვარს არა მარტო ისეთი უკვე დიდიხანია ფართოდ გავრცელებული საფაბრიკო პროდუქტები, როგორიც არის ძეხვეული, სოსისი და ნაყინი, არამედ ისეთებიც, როგორიც არის კატლეტი, ხინკალი, მწა საუზმეები და დაკონსერვებული სუპი, რომელთა საფაბრიკო წარმოება ომამდელ პერიოდთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა და კიდევ უფრო გადიდდება ხუთწლედის ბოლოსთვის.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი პროდუქტების გაყიდვა ჯერჯერობით მხოლოდ დიდ ქალაქებშია ფართოდ გავრცელებული. ამოცანა ის არის, რომ ახალ ხუთწლედში ამ პროდუქტების წარმოება გავაჩაოოთ ბევრ ქალაქში არა მარტო იმიტომ, რომ ეს პროდუქტები ძალიან გემრიელია და კარგად არის მომზადებული,—მათი ხარისხი გარანტირებული და შემოწმებულია სანიტარული ექიმებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექტორების მიერ, — არამედ იმიტომაც, რომ ისინი მძიმე შრომისაგან ათავისუფლებენ ჩვენს ქალებს და საშუალებას აძლევენ ცოტა დრო მოანდომონ ოჯახის პირობებში გემრიელი საჭმლის მომზადებას.

საბჭოთა ექიმები კანონიერად იმოწმებენ დიდ მეცნიერ პავლოვს, რომელიც ამბობს: „ყველამ იცის, რომ ნორმალური მარგებელი ჭამა არის მადიანი ჭამა, ჭამა, რომელიც სიამოვნებას გაგრძნობინებს“. ამოცანა მარტო ის როდია, რომ დიდი რაოდენობით გამოვიმუშაოთ კვების პროდუქტები. კვების პროდუქტები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ნოყიერი, შესახედავად მიმზიდველი, სურნელოვანი, უნდა გემო აღგვიძრას და მადაზე მოგვიყვანოს, რათა ადამიანი ჭამის დროს ნამდვილ სიამოვნებას განიცდიდეს. **(მქუხარე ტაში).**

მოსახლეობის კვების გაუმჯობესებისა და პროდუქტების შენახვისას დანაკარგის შემდგომი შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში სამაცივრო მეურნეობის განვითარებას.

ამ საქმეში ჩვენ უკვე მივაღწიეთ სერიოზულ წარმატებებს.

მაცივართა საერთო ტევადობა კვების მრეწველობის დარგებში 1952 წელ ერთიორად და მეტად გადიდდა, ხოლო ხუთწლედის ბოლოს თითქმის ერთიოთხად გადიდდება 1940 წელთან შედარებით.

სწრაფი ტემპით ვსპობთ ჩამორჩენას მანქანური სამაცივრო დანადგარებით სავაჭრო ქსელის აღჭურვაში. თუ 1948 წელს იყო 1.650 ასეთი დანადგარი, 1952 წელს მათი რიცხვი 18 ათასამდე გადიდდა, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის სავაჭრო ქსელს ექნება 40 ათასი მანქანური სამაცივრო დანადგარი.

თვითმავალი რეფრიჟერატორიანი ფლოტი, რომელსაც უმთავრესად თევზის გადაზიდვისათვის ვიყენებთ, 1952 წელს გადიდდება ერთიორად და მეტად, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის — ერთისამად და მეტად ომამდელთან შედარებით.

საყინულე ვაგონების რაოდენობა ამჟამად 40 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1955 წელს ერთიორად გადიდდება ომამდელთან შედარებით.

კვების პროდუქტების ხარისხის შენარჩუნებისა და იმისათვის, რომ მოსახლეობას შევუქმნათ მოხერხებული პირობები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საოჯახო მაცივრებს.

ომამდე ჩვენ არა გვქონდა ასეთი მაცივრების მასობრივი წარმოება. ახლა გვაქვს 3 ტიპის მასობრივი საოჯახო ელექტრომაცივარი, რომლებიც უცხოთის ნიმუშს არ ჩამოუვარდება: ქარხანა „გაზაპარატის“ მცირე მაცივარი, საშუალო — „სარატოვი“ და დიდი—„ზისი“. მიმდინარე წელს ამ მაცივრების წარმოება ერთიორად გადიდდება 1951 წელთან შედარებით, ხოლო 1955 წელს — ერთიათად.

სამაცივრო მეურნეობის თანმიმდევრული განვითარება — სამრეწველო საწარმოებიდან ტრანსპორტამდე, საწყობებიდან და მაღაზიებიდან მომხმარებელთა ბინებამდე — უზრუნველყოფს საბჭოთა მოსახლეობის მომარაგებას საღი და გემრიელი საჭმლით, რისთვისაც განუწყვეტლივ ზრუნავენ ჩვენი დიდი პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი. **(ტაში).**

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კვების მრეწველობის მუშაკნი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას — მიაღწევენ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვეს, რაც ამოცანად დაგვისახა ამხანაგმა სტალინმა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1952 წელს, ბარათების გაუქმების შემდეგ პირველ წელთან — 1948 წელთან შედარებით, გადიდდება (შესადარი ფასებით) ერთიორად და მეტად.

უკანასკნელ წლებში საქონელბრუნვაში მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო საქონლის, განსაკუთრებით ხანგრძლივად სახმარ ნაკეთობათა: ავტომობილების, მოტოციკლების, ველოსიპედების, რადიომიმღებთა, ტელევიზორების, ავეჯის, მაცივრების, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვ. ხვედრითი წონა, რაც ცხადყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სულ უფრო გაუმჯობესებას. მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და საბჭოთა ვალუტისადმი ნდობის გადიდების მეორე მაჩვენებელია ის, რომ 1952 წელს მოსახლეობის ანაბრების რაოდენობა შემნახველ სალაროებში ერთიოთხად გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ფართო მოხმარების საქონლის მასის გადიდებამ, ბუნებრივია, გაზარდა მოსახლეობის მომთხოვნელობა მისი ხარისხისა და ასორტიმენტისადმი. წინათ, როცა საქონელი ცოტა იყო, ხშირად საქონელს ყიდულობდნენ არც თუ ისე არჩევით. ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მაგრამ მრეწველობა და საბჭრო ორგანიზაციები ხშირად ძველებურად განაგრძობენ მუშაობას, ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნას, განაგრძობენ საქონლის განურჩევლად შეტანას, შეაქვთ ცუდად შერჩეული ასორტიმენტის საქონელი, ზოგჯერ ერთ რაიონში ან ქალაქში გზავნიან

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა რ ტ ი ი ს XIX ყ რ ი ლ ო ბ ა

ამხ. ა. ი. მიქოიანის სიტყვა

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ორი-სამი ფასონისა და ზომის და სამოთხი მოხატულობის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დიდ პარტიებს, ისე რომ არ ითვალისწინებენ საჭირო მრავალფეროვნებას.

საჭიროა უფრო სწრაფად გავაუმჯობესოთ იმ საქონლის ხარისხი და ასორტიმენტი, რომელსაც მრეწველობა უშვებს მოსახლეობისათვის მისაყიდად. საბჭოთა მომხმარებლის საჭიროება და ინტერესები მრეწველობისათვის კანონი უნდა გახდეს.

შემდგომ უნდა განვავითაროთ სისტემა სავაჭრო ორგანიზაციების წინასწარი დაკვეთებისა მრეწველობისადმი, რამაც საშუალებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

საჭიროა გავადიდოთ კარგად მოწყობილი სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, ხოლო მათი ხელმძღვანელობისათვის დიდ ცენტრებში შექმნათ სპეციალიზებული სავაჭრო სამმართველოები მოსკოვისა და ლენინგრადის მაგალითისამებრ.

საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მაღაზიების უფრო რაციონალურ ტერიტორიულ განლაგებას და გამოვასწოროთ შექმნილი მდგომარეობა. ბოლოს, საჭიროა აღმოვფხვრათ სასაწყობო მეურნეობის ჩამორჩენა მზარდი საქონელბრუნვისაგან.

საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სასადილოებისა და რესტორნების ქსელი და სერიოზულად გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა.

ვაჭრობის მუშაკები მოვალენი არიან აიმაღლონ კვალიფიკაცია, იცოდნენ მოსახლეობის მოთხოვნილება და შეეძლოთ შესთავაზონ მყიდველს საჭირო საქონელი; ლენინის ლოზუნგი — ვისწავლოთ ვაჭრობა — ახლაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ვაჭრობის მუშაკებისათვის

ამოცანები ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციისა, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს ამზადებენ, ის არის, რომ გაუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი, შეამცირონ თვითღირებულება, განახორციელონ შესაძლო სპეციალიზაცია, თავიანთი საწარმოების ტექნიკური აღჭურვა და ხელახლა შეიარაღება.

ომის ყველაზე მძიმე შედეგების ლიკვიდაციისთანავე პარტიამ და მთავრობამ უზრუნველყვეს პირობები საბარათო სისტემის გაუქმებისა და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირებისათვის.

ფასების შემცირების სტალინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად უკანასკნელ ხუთ წელიწადში მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების საერთო დონე სსრ კავშირში 50 პროცენტით, ესე იგი ერთიორად შემცირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს საბჭოთა მომხმარებელს შეუძლია 50 მანეთად იმდენი საქონელი იყიდოს, რამდენსაც იგი ხუთი წლის წინათ 100 მანეთად ყიდულობდა.

რაც უფრო იზრდება წარმოება, მცირდება თვითღირებულება, დიდდება შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტია ფასების შემცირებისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

მშრომელთა ინტერესები შეერთვის სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს და ეს არის ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ძალისა და ძლიერების შინაგანი წყარო.

მაშინ როცა სსრ კავშირში ფასები სისტემატურად მცირდება, კაპიტალიზმის ქვეყნებში ფასების დონე განუხრელად მაღლდება, რასაც მოწმობს ოფიციალური ცნობების შემდეგი შედარება.

კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების ფასების დონე 1952 წელს პროცენტობით 1947 წლის დამლევის ფასებთან შედარებით:

საქონლის დასახელება	სსრ კავშირი	ამერ. შეერთ. შტატები	ინგლისი	საფრანგეთი
პური	39	128	190	208
ხორცი	42	126	135	188
კარაქი	37	104	225	192
რძე	72	118	130	174
შაქარი	49	106	233	376

თუ 1947 წლის დამლევიდან 1952 წლამდე პურის ფასები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიდდა 28 პროცენტით, ინგლისში—90 პროცენტით, საფრანგეთში — ერთიორად და მეტად, საბჭოთა კავშირში პურის ფასები ამავე პერიოდში შემცირდა ორნახევარჯერ.

თუ ხორცის ფასები ამავე პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიდდა 26 პროცენტით, ინგლისში—35 პროცენტით, საფრანგეთში — 88 პროცენტით, საბჭოთა კავშირში ხორცის ფასი ერთიორად და მეტად შემცირდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში გაბატონებული მონოპოლიები მაქსიმალური მოგების მიღებისათვის ახორციელებენ ფასების გადიდების პოლიტიკას და ამასთანავე ყინავენ ხელფასს, მაშინ როცა სსრ კავშირში სტალინური პოლიტიკა უზრუნველყოფს ფასების განუხრელ შემცირებას.

ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კაპიტალიზმის სხვა ქვეყნებში ფასების განუწყვეტელი ზრდა გარდუვალად იწვევს მშრომელთა მოხმარების შემცირებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ინგლისი. ინგლისის ცნობებით, უმნიშვნელოვანეს სახეობათა სურსათის საშუალო სულობრივი მოხმარება 1951 წელს ომამდელთან შედარებით ეაცა ხორცპროდუქტებისა 40 პროცენტით, კარაქისა — 40 პროცენტით, თევზის კონსერვებისა—46 პროცენტით, ბრინჯისა — 37 პროცენტით, შაქრისა —16 პროცენტით, ჩაისა—23 პროცენტით და სხვ. რა თქმა უნდა, საშუალო სულობრივი მოხმარების დაცემა ნაკლებმაჩვენებელია, რადგან, როგორც ცნობილია, საშუალო სული არ არსებობს, და მოხმარების მთელი შემცირება მოხდა მუშათა კლასის ხარჯზე. ინგლისის ბურჟუაზია არ გაღარიბებულა, იგი იმდენს ჭამს, რამდენიც სურს.

სულ უფრო გამალებული შეიარაღების შედეგად კიდევ უფრო ქვეითდება ინგლისელ მშრომელთა ცხოვრების დონე. შემთხვევითი როდია, რომ ვერც ინგლისელი კონსერვატორები და ვერც ლეიბორისტი დემაგოგები — ამერიკელ იმპერიალისტთა დამქაშები ვერც კი დაპირდებიან ინგლისელ მუშებს ამქვეყნად მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუნდაც მომავალში. მათ თავიანთ ხუცებთან ერთად ისიც დარჩენიათ, რომ საიქიოს სამოთხეზე ილაპარაკონ. **(სიცილი, ტაში).**

ბედის ირონიაა, რომ ინგლისის მთავრობამ ჩვენი ყრილობის გახსნის დღე „აღნიშნა“ კვების პროდუქტების ფასების ახალი გადიდებით 5 ოქტომბრიდან, რაც მორიგ ლახვარს სცემს ინგლისელ მშრომელებს.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა, ისე როგორც მთელი სახალხო მეურნეობა, ომისშემდგომ პერიოდში ახალი აღმავლობის გზაზეა.

ომამდელი პერიოდისაგან განსხვავებით, როცა ჩვენში საბჭოთა კავშირის იზოლაციის გამო არ ყოფილა საგარეო ვაჭრობის განუწყვეტელი ზრდა, ომისშემდგომ პირობებში ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა წლითიწლით იზრდება, რაც აიხსნება როგორც სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებით, ახალი მსოფლიო ბაზრის წარმოშობით, ისე ჩვენი ეკონომიკური ძლიერების ზრდით.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მოცულობა ამჟამად ომამდელს ერთისამად სჭარბობს.

საბჭოთა კავშირი ომისშემდგომ პერიოდშიც იცავს კაპიტალისტურ ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის ორივე მხარისათვის ხელსაყრელ პირობებში განვითარების უცვლელ კურსს.

კაპიტალიზმის ქვეყნებთან ვაჭრობა, ომისშემდგომ პირველ წლებში ერთგვარი გამოცოცხლების შემდეგ, შეერთებული შტატების აგრესიული კურსის შედეგად, მკვეთრად შემცირდა. ეს შემცირება ჭარბად ანაზღაურდა მეგობარ ქვეყნებთან ვაჭრობის ზრდით.

კაპიტალიზმის ის ქვეყნები კი, რომელთაც სურთ საბჭოთა კავშირთან განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა ურთიერთხელსაყრელ პირობებში, მუდამ ხვდებიან ჩვენს მხარდაჭერას. ამის მკაფიო მაგალითია ჩვენი ვაჭრობა ფინეთთან. საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1951 წელს შესადარი ფასებით 9-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1938 წელს. 1951-1955 წლების საქონელბრუნვის შესახებ დადებული გრძელვადიანი შეთანხმება ითვალისწინებს ვაჭრობის შემდგომ მნიშვნელოვან გაფართოებას. მაგალითად, უკვე 1953 წელს საქონელბრუნვა თითქმის ერთიორად გადააჭარბებს 1951 წლის დონეს, ესე იგი ორ წელიწადში თითქმის ერთიორად გადიდდება.

უმნიშვნელოვანესი ცვლილება ჩვენს ომისშემდგომ ვაჭრობაში ის არის, რომ საქონელბრუნვის ძირითადი მასა ახლა მოდის დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობაზე. მიმდინარე წელს ამ ქვეყნების წილი ჩვენს საგარეო ვაჭრობაში შეადგენს 80 პროცენტს.

„ორი დაპირისპირებული ბანაკის არსებობის ეკონომიკური შედეგი ის იყო, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზარი დაიშალა, რის შედეგადაც ახლა გვაქვს ორი პარალელური მსოფლიო ბაზარი, რომლებიც აგრეთვე უპირისპირდებიან ერთმანეთს“.

ეკონომიკური თანამშრომლობა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის, ესე იგი ახალ მსოფლიო ბაზარზე, ვითარდება მათი ეკონომიკის გეგმაშეწონილი აღმავლობისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების ამხანაგური შეთანხმების მტკიცე საფუძველზე. მისი საფუძველია დიდი და მცირე ერების თანასწორუფლებიანობა, ურთიერთ ინტერესების პატივისცემა და ურთიერთდახმარება ეკონომიკურ განვითარებაში. აქ არ შეიძლება იყოს ურთიერთმომსჩობი კონკურენცია, რადგან ეს ქვეყნები გულწრფელად არიან დაინტერესებულნი ერთმანეთის წარმატებით.

საქონელბრუნვა მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნებს შორის 1948-1952 წლებში ერთისამად და მეტად გადიდდა; კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის შემცირებაც რომ გავითვალისწინოთ, დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ერთიორად გადიდდა.

დემოკრატიული ბანაკის ბაზარს ისეთი რესურსები მოეპოვება, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ თვითეულ ქვეყანას ახალ მსოფლიო ბაზარზე იშოვოს ყოველივე, რაც საჭიროა მისი სამეურნეო განვითარებისათვის. ამასთან ყოველ ქვეყანას შეაქვს ის, რაც მას ესაჭიროება, და გააქვს სხვა ქვეყნებისათვის საჭირო საქონელი. და არც ერთი ქვეყანა მეორეს თავს არ ახვევს ისეთ საქონელს, რომელიც მას არ ესაჭიროება, როგორც კაპიტალისტურ ბაზარზე ხდება.

დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ახალ ეტაპში შევიდა მას შემდეგ, რაც ხორციელდება გრძელვადიანი ეკონომიკური შეთანხმებანი, რომლებიც შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მუშაობენ პერსპექტივული გეგმებით. გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებანი უზრუნველყოფენ, რომ ქვეყნებმა ხანგრძლივი ვადით მიიღონ მანქანები, მოწყობილობა, ნედლეული და სხვა საქონელი, რაც საჭიროა მათი ეკონომიკური განვითარებისათვის, უზრუნველყოფენ აგრეთვე მათი პროდუქციის გასაღებას, ქმნიან ნათელ პერსპექტივას და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მტკიცე რწმენას.

დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკის სწრაფ პოლიტიკურ და სამეურნეო განმტკიცებას უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ სტალინის გამჭრიახ პოლიტიკას და მის ყოველდღიურ ზრუნვას საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მოძმე ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. **(ტაში).**

1952 წელს საბჭოთა კავშირის მიერ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის უახლესი კონსტრუქციის მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდება 10-ჯერ გადიდდა 1948 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი სრულყოფილ მოწყობილობას აწვდის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, მაქსიმალურად იაფ და პირველხარისხოვან ტექნიკურ დახმარებას უწევს მათ, უსასყიდლოდ აძლევს წარმოების პატენტებს, ლიცენზიებსა და ტექნოლოგიას.

ყოველივე ამან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა შეექმნათ ახალი წარმოებანი და საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობის მთელი დარგები, რომლებიც მათ არ ჰქონიათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ სხვა პირობებში.

ავიღოთ, მაგალითად, რუმინეთი, რომელმაც, ფართოდ გააჩაღა რა ნავთის ამოღება, მზარდი მანქანათმშენებლობის ქვეყანა გახდა და ახლა უკვე, იყენებს რა საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას, თვითონ ამზადებს ნავთის ამოღებისათვის საჭირო მთელ მოწყობილობას და იწყებს ნავთის გასაწმენდი რთული აპარატების გამოშვებას. ეს ერთადერთი მაგალითია მსოფლიოში, რომ მცირე სახელმწიფოს, რომელსაც ნავთის სიმდიდრე მოეპოვება, აქვს აგრეთვე საკუთარი ნავთის მანქანათმშენებლობა. ლათინური ამერიკის და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, სადაც ინგლის-ამერიკის მონოპოლიები მტაცებლურად იღებენ ნავთს გიგანტური რაოდენობით, ამაზე ოცნებაც არ შეუძლიათ.

მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების შედეგად ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობა დიდად მოიშალა. ამ მოშლას აძლიერებს ექსპანსიონისტური პოლიტიკა შეერთებული შტატებისა, რომლებიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვიან. ამერიკის იმპერიალიზმი გამალებულ ბრძოლას ეწევა გაყოფების ბაზრების დასაპყრობად, ამასთან ცდილობს გაძლიერებული ექსპორტის საშუალებით შეინელოს თავისი ეკონომიკის შინაგანი წინააღმდეგობანი. ამერიკას სურს ბევრი მიჰყიდოს სხვა ქვეყნებს და ძალიან ცოტა იყიდოს მათგან. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ომისშემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო წლიური ექსპორტი შეადგენდა 12,5 მილიარდ დოლარს, ხოლო შეტანა 7,3 მილიარდ დოლარს და, მაშასადამე, ამერიკის ექსპორტის ყოველწლიური ნამეტი 5 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

ასეთი ვაჭრობის ეკონომიკური უაზრობა მკაფიოდ ჩანს დასავლეთ ევროპასთან ამერიკის სავაჭრო ურთიერთობის მაგალითით, დასავლეთ ევროპასთან, სადაც ამერიკელებს ომისშემდგომ პერიოდში ყოველწლიურად შეაქვთ 4 მილიარდ დოლარისაზე მეტი საქონელი, თავისთვის კი ევროპიდან გააქვთ მხოლოდ 1 მილიარდი დოლარისა, ამასთან თავიანთი საზღვარი ევროპის საქონლისათვის ჩაკეტილი აქვთ დიდი საბაჟო გადასახადებით.

განა შეიძლება ვაჭრობა განვითარდეს, როცა ამერიკული საქონლის გასაღება 4-ჯერ აღემატება დასავლეთ ევროპაში ამერიკელთა შესყიდვებს? არა, ასეთ ვაჭრობას გარდუვალად მოჰყვება საერთაშორისო კაპიტალისტური ბაზრის შემდგომი დაშლა და ბურჟუაზიული სამყაროს ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავება. ასეთი ექსპანსია სავაჭრო ომის ყველა საშუალების, მათ შორის უმაგალითოდ დიდი მასშტაბის დემპინგის გამოყენებით, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, მიზნად ისახავს ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა იმ კაპიტალისტური ქვეყნების ინტერესთა შელახვას, რომლებსაც ამერიკელები ავიწროებენ მსოფლიო ბაზარზე და ინგლისისა და საფრანგეთის საკუთარ კოლონიებშიც კი.

სხვა ქვეყნებისადმი ამერიკის ყველა სახის „დახმარება“ მხოლოდ შირმაა სხვა ხალხების ძარცვისა და ექსპლოატაციის გასაძლიერებლად.

დამარცხებული დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის დაბრუნება მსოფლიო ბაზარზე კიდევ უფრო ამწვავებს წინააღმდეგობებს დამარცხებულ ქვეყნებსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც დაიპყრეს მათი ბაზრები ომის შემდეგ.

იმპერიალისტური ქვეყნები ომისშემდგომ პირობებში კიდევ უფრო აძლიერებენ არაეკვივალენტურ გაცვლას დამოკიდებულ ქვეყნებთან, იაფად ყიდულობენ მათგან ნედლეულსა და სურსათს და ძალიან ძვირად აძლევენ თავიანთ საქონელს. მაგალითად, შეერთებული შტატები მონოპოლიურად ჩალის ფასად ყიდულობენ სპილენძს ჩილში, კალას ბოლივიაში, ნავთს ვენესუელაში, ყავას ბრაზილიაში, კაუჩუკს აზიის ქვეყნებში, რაც იწვევს ძლიერ პროტესტს და ამერიკელთა მორჩილი მთავრობების შეცვლას. მაგალითად, საუდის არაბეთში მოკალათებული ამერიკელთა მონოპოლიები თვითეულ ტონა ამოღებულ ნავთზე იღებენ მოგებას, რაც 13 დოლარს აღემატება, და რაც ნავთის თვითღირებულებაზე 7-ჯერ მეტია. ისინი ნაკლებ მოგებას არც შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში იღებენ, სადაც ხალხები სიღატაკესა და უვიცობაში ბოგინობენ.

გაბატონებული იმპერიალისტური ქვეყნები აზშობენ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას, თავიანთ აგრარულ—სანედლეულო დანამატად და თავიანთი ჩაწოლილი საქონლის გასაღების ბაზრებად აქცევენ მათ. ამით კიდევ უფრო ძლიერდება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შრომის საერთაშორისო განაწილების მახინჯი ხასიათი.

ამის საწინააღმდეგოდ საღ საფუძველზე იზრდება და ვითარდება ახალი მსოფლიო ბაზარი, რომელიც ემყარება დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ძმურ ურთიერთობას და მათი ინტერესების ჰარმონიას, რაც უზრუნველყოფს ამ ქვეყნებს შორის შრომის გონივრული განაწილების შექმნას და ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკურ შესაძლებლობათა შესაბამისად მათი ნაციონალური ეკონომიკის გეგმაშეწონილ, უკრიზისო განვითარებას.

ამხანაგებო! ძნელია თვალით გადავწვდეთ და ღირსეულად შევაფასოთ ჩვენი უდიდესი წარმატებანი და მიღწევები, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა პარტიის XIX ყრილობას შეეგება. დიდი საბჭოთა კავშირისათვის, სწრაფად მზარდი და სულ უფრო მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკისათვის სიხარულით არის აღსავსე მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის გული.

ჩვენი წარმატებანი წონასწორობას უკარგავენ კაცობრიობის დაუძინებელ მტრებს — მონოპოლისტური კაპიტალის მესვეურებს, რომლებიც ამზადებენ სამხედრო აგრესიას, მიმართავენ პროვოკაციებსა და მუქარას საბჭოთა კავშირისა და მთელი დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ. ჩვენმა ყრილობამ საკმაოდ ნათლად და მტკიცედ თქვა, რომ ჩვენ არ გვეშინია პროვოკაციებისა და დაშინებისა, რომ ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის, რომ სავსებით მომზადებული დავხვდებით ყოველგვარ საფრთხეს და გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთ ყოველ აგრესორს. **(ტაში).**

პარტიის XIX ყრილობის შემდეგ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დამშვიდებით და მტკიცე რწმენით წავა წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. **(მქუხარე ტაში).**

დიდება დიდ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის სიტყვა

ამხანაგებო! საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ განვლილი წლები ლენინ—სტალინის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვების წლებია. საბჭოთა ადამიანებმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. **(ტაში).**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებაში სტალინურ წინასწარდასახულობათა საფუძველზე გაშლილია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი კომუნიზმის მშენებლობის შესანიშნავ პერსპექტივებს უსახავენ პარტიასა და საბჭოთა ხალხს.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები განსაზღვრავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ეს ფასდაუდებელი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, აიარაღებს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმისათვის ბრძოლის ძლიერი იდეური იარაღით.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი, რომელიც, განზოგადებულია პარტიის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში შეძენილი უმდიდრესი ორგანიზაციული გამოცდილება, ავითარებს პარტიის ძირითად ორგანიზაციულ პრინციპებს, აკონკრეტებს მათ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად.

„ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები, — ნათქვამია შეცვლილი წესდების პროექტში, — ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

ჩვენი პარტიის წინაშე მდგომი ახალი გრანდიოზული ამოცანები მოითხოვენ მთელი შინაპარტიული მუშაობის იდეური დონის განუხრელ ამაღლებას, პარტიული მასების აქტივობის შემდგომ განვითარებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას.

მუშათა კლასის გენიალური ბელადები ლენინი და სტალინი ჩვენი პარტიის განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ორგანიზაციულ საკითხებს. პარტიული მშენებლობის ფორმები და ჩვენი პარტიის მუშაობის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას და იმ პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც ამა თუ იმ ვითარებიდან გამომდინარეობენ. ჩვენი პარტიის ორგანიზაციული პრინციპები განსახიერებულია შეცვლილი წესდების პროექტში. პარტია მუდამ აუმჯობესებდა, სრულყოფდა თავისი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს და ამით ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე უზრუნველყოფდა მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

პარტიის შეცვლილი წესდება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, პარტიული რიგების დარაზმულობა და ორგანიზებულობა, კომუნისტების აქტივობა პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სწორედ ამიტომ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი, რომელიც განხილულ იქნა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რაიონულ, საქალაქო აქტივებსა და კონფერენციებზე, საოლქო პარტიულ კონფერენციებზე და საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე, მხურვალედ მოიწონა ყველა კომუნისტმა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებს, რომლებიც მიეძღვნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საყრილობო დოკუმენტებს, დაესწრო აღრიცხვაზე მყოფი ყველა კომუნისტის 90 პროცენტზე მეტი. გამოდიოდნენ რა კრებებზე, კომუნისტებს შეჰქონდათ თავიანთი წინადადებანი და შენიშვნები. კერძოდ, ისინი წინადადებას აყენებდნენ წესდების პირველი პარაგრაფი დაიწყოს სიტყვებით: „პროლეტარული რევოლუციის ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის წესდებაში შეტანილ ცვლილებათა სისწორე და დროულობა სავსებით აშკარაა. ავიღოთ თუნდაც პარტიის სახელწოდების დაზუსტების საკითხი. ამხ. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სავსებით სწორად დაასაბუთა, რომ საჭიროა ამიერიდან ჩვენს პარტიას ეწოდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ეს სახელწოდება უფრო ზუსტია. ამჟამად საჭირო აღარ არის დავტოვოთ პარტიის ორმაგი სახელწოდება: კომუნისტური და ბოლშევიკური, რამდენადაც სიტყვები „კომუნისტი“ და „ბოლშევიკი“ ერთ შინაარსს გამოხატავენ.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში პარტიის ახალი ამოცანები მოითხოვენ გაძლიერდეს პარტიის წევრების პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის. ამიტომ შეცვლილი წესდების პროექტში სავსებით სწორად არის აღნიშნული, რომ პარტიის წევრი შეიძლება იყოს ის, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად უწყობს ხელს მათს განხორციელებას და ასრულებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას.

პარტიის მაღალ ბრძოლისუნარიანობას უზრუნველყოფს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ და განუხრელად დაცვა. პარტიაში არ შეიძლება იყოს ორი დისციპლინა, ნათქვამია პარტიის წესდების პროექტში, — ერთი ხელმძღვანელებისათვის, მეორე რიგითი წევრებისათვის. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა დიდი ბოროტებაა, რომელიც ზიანს აყენებს პარტიას, და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

კომუნისტური პარტია მუდამ ზრუნავს თავისი კადრების, ყველა კომუნისტის აღზრდისათვის, ასწავლის მათ იმას, რომ განუხრელად განახორციელონ პარტიის პოლიტიკა, ერთგულად და სიმართლით ემსახურონ ხალხს. „ჩვენი პარტია,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—ძლიერი და უძლეველია იმიტომ, რომ, ხელმძღვანელობს რა მოძრაობას, მას შესწევს უნარი შეინარჩუნოს და ამრავლოს თავისი კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებთან“. სტალინის ეს მითითება სავსებით ასახულია წესდების პროექტში.

მასებთან პარტიული ორგანიზაციების კავშირის მუდმივ გაფართოებას და განმტკიცებას, პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსის სისტემატურ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მძლავრი იარაღის — კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „პარტია უძლეველია, თუ მას არ ეშინია კრიტიკისა და თვითკრიტიკისა, თუ იგი არ ჩქმალავს თავისი მუშაობის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, თუ იგი ასწავლის და ზრდის კადრებს პარტიული მუშაობის შეცდომებზე, თუ მას შესწევს უნარი დროულად გამოასწოროს თავისი შეცდომები“.

პარტიის წევრი, ნათქვამია შეცვლილი წესდების პროექტში, მოვალეა ავითარებდეს თვითკრიტიკასა და ქვემოდან კრიტიკას, ააშკარავებდეს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადული კეთილდღეობისა და მუშაობაში წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ. კრიტიკის ჩახშობა მძიმე ბოროტებაა. ვინც ახშობს კრიტიკას, ცვლის მას პარადულობითა და ხოტბის შესხმით, ის არ შეიძლება პარტიის რიგებში იმყოფებოდეს.

პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების ზუსტად დაცვა პარტიის წევრის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. იგი დაუცხრომლად უნდა აძლიერებდეს თავის პოლიტიკურ სიფხიზლეს, შეურიგებლობას იჩენდეს დოყლაპიობისა და უდარდელობის გამოვლინებებისადმი, რომელსაც ჯერ კიდევ ეხვდებით ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების გამქელავნება, როგორც ნათქვამია წესდების პროექტში, დანაშაულია პარტიის წინაშე და შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ესაზღვრება კაპიტალისტურ თურქეთს, რომელიც ავანზაკური ამერიკული იმპერიალიზმის სამხედრო პლაცდარმია. ეს ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. ჩვენი სამშობლოს სამხრეთი საზღვრები მუდამ მიუვალი ციხე-სიმაგრე უნდა იყოს.

ცნობილია კადრების როლი პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პარტიის კადრები პარტიის მეთაურთა შემადგენლობაა, ხოლო ვინაიდან ჩვენი პარტია ხელისუფლების სათავეში დგას,—ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მეთაურთა შემადგენლობას. მას შემდეგ, რაც შემუშავებულია სწორი პოლიტიკური ხაზი, პრაქტიკით შემოწმებული, პარტიის კადრები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტ ძალად იქცევიან“.

წესდების პროექტი მოითხოვს, რომ კომუნისტები განუხრელად ასრულებდნენ პარტიის მითითებებს კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შესახებ. პარტიის მიერ მინდობილ ყოველ პოსტზე პარტიის წევრი მოვალეა განუხრელად ახორციელებდეს პარტიის მითითებებს კადრების სწორად შერჩევის შესახებ მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით. ამ მითითებათა დარღვევა, მეგობრული ურთიერთობის, პირადი ერთგულების, მეზობლობისა და ნათესაობის ნიშნებით მუშაკების შერჩევა შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან.

პარტიის შეც

პარტიის XIX ყრილობა

ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის სიტყვა

(დასასრული)

გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. წესდების პროექტი პარტიულ მასებს აღაფრთოვანებს პარტიულ გადაწყვეტილებათა ზუსტად და განუხრელად შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი პროგრამის განსახორციელებლად თავდადებული ბრძოლისათვის, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა.

პარტიის წესდება ურყევი კანონია ყოველი კომუნისტისათვის, ყოველი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკისათვის. ის, ვინც ზუსტად არ იცავს წესდების ყველა მოთხოვნას, ურიგდება მისგან თუნდაც ოდნავ გადახრას, თავს ვერ აარიდებს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, გარდუვალად ჩაფუშავს მუშაობას.

სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი შეცდომებს უშვებდა კადრების შერჩევასა და განაწილებაში, არ იცავდა პარტიის წესდების მოთხოვნებს, არღვევდა შინაპარტიულ დემოკრატიას, პარტიულ ორგანიზაციებში არ იყო გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა, იშვიათად იწვეოდა პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული აქტივები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, აღჭურვილი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, რომელიც ისტორიულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, აღჭურვილი ამხანაგ სტალინის პირადი მითითებებით, გადაჭრით ამხილებს და აღმოფხვრის პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. ფართოდ გააჩაღეს რა კრიტიკა და თვითკრიტიკა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები აღმოფხვრიან მუშაობის ნაკლოვანებებს, და უზრუნველყოფენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ამხ. ბერიამ თავის ბრწყინვალე სიტყვაში, ილაპარაკა რა წარსულში ჩამორჩენილი ერებისა და განაპირა მხარეების აღმავლობისა და აყვავების საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე, ცხადყო, თუ რას მიაღწიეს შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით. ქართველ ხალხს მუდამ ახსოვს, რომ თავის განთავისუფლებას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აყვავებას იგი უნდა უმადლოდეს ლენინ—სტალინის პარტიას, დიდ რუს ხალხს, ამხანაგ სტალინს. **(ტაში).**

ამხანაგებო, საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც ერთიანი და მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, მზად არის შეასრულოს პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ყოველი დავალება.

გაუმარჯოს ლენინ—სტალინის პარტიას—საბჭოთა ხალხის ყველა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის პროგრამა

ლენინგრადი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ლენინგრადის მშრომელები უდიდესი გულმოდგინებით ადევნებდნენ თვალყურს პარტიის XIX ყრილობის მუშაობას. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი აღაფრთოვანებენ მათ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დღეს კიროვის ჭარხნის ათასობით მუშა აღფრთოვანებით ისმენდა რადიოში, კითხულობდა გაზეთებში ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვას პარტიის XIX ყრილობის საბოლოო სხდომაზე.

ზეინკალმა პ. ზაიჩენკომ საუბარში განაცხადა:

— ამხანაგმა სტალინმა მოძმე პარტიებს დაუსახა ხალხთა განთავისუფლებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები განუყოფელია მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისაგან. მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის ჩვენ არ დავიშურებთ ჩვენს ძალღონეს!

პარტიის ყრილობის მუშაობის დღეებში ბრიგადამ, რომელსაც პ. ზაიჩენკო ხელმძღვანელობს, დამზადა ახალი ჩარხი მილების ელექტროგახურებისათვის მათი ღუნვის დროს, დანერგა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ადიდებენ მვალცავთა შრომის ნაყოფიერებას. ნოვატორმა ზეინკალმა თავის ბრიგადასთან ერთად, ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის გზით იკისრა 30-40 პროცენტით შეამციროს მანქანის წამყვანი კვანძის დამუშავების ციკლი.

შეჯიბრების ერთ-ერთი მოწინავე ელექტროსაამქროს ძველი მუშა მ. ემელიანოვი დღეს განსაკუთრებული აღფრთოვანებით მუშაობდა.

— ამხანაგ სტალინის ყოველი სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე ღრმად გვწვდება გულში, — აღფრთოვანებით თქვა მან.—ჩვენ, მოხუცებს, კარგად გვესმის, თუ რა დევნას განიცდიდნენ ცარიზმის დროს რუსი კომუნისტები, რომლებიც იბრძოდნენ ხალხის ინტერესებისათვის, მისი თავისუფლებისათვის. დიდი ბელადი გენიალური გამჭრიახობით გვიწინასწარმეტყველებს, რომ მოძმე პარტიები, ისწავლიან რა რუსი კომუნისტების გამოცდილებას, აგრეთვე მიაღწევენ გამარჯვებას.

პარტიის ყრილობის მასალების წაკითხვის შემდეგ ტვიფრებისა და სამარჯვების საამქროს სტახანოველმა პ. შულგინმა განაცხადა:

— ახალი ხუთწლიანი გეგმა ჩვენს ქვეყანას გახდის კიდევ უფრო მდიდარს, ხოლო საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას კიდევ უფრო სასიხარულოს. მაშ დაუღალავად ვიშრომოთ, რათა რაც შეიძლება მალე განვახორციელოთ მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმა!

საყვარელი სამშობლოსათვის, ლენინ—სტალინის პარტიისათვის სიამაყის გრძნობით, პარტიისა, რომელიც წინ მიუძღვის ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, სწავლობენ ყრილობის ისტორიულ მასალებს სახელგანთქმული ქარხნის სტახანოველები, ოსტატები, ინჟინრები და ტექნოლოგები.

ДОНЕС ВОЛГА-ДОНУ

ДОНСКОЙ КАЛАЧ, 15 ოქტომბერი. (საკდესი). უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ექსპლოატაციის მუშაკები პარტიის XIX ყრილობის მასალებს. სასახელოდ იმუშავეს მათ ყრილობის ისტორიულ დღეებში. რაბვის ყველაზე მოკლე ვადები—12-15 წუთი ერთ გემზე, რაც სექტემბერში ცალკეული ვახტებისა და რაბების უდიდესი მიღწევა იყო, ახლა ვოლგა-დონის ყველა რაბის კუთვნილება გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეებში არხში გაძლიერდა ტვირთის ნაკადი, ყველა რაბი ზუსტად და შეწყობილად მუშაობდა. ვახტის ამ დღეებში გემების რაბვაზე დაზოგილია დაახლოებით 20 მილიონი კუბური მეტრი წყალი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დაზოგეს იმ ელექტროენერგიის დიდძალი კილოვატსაათები, რომელსაც სატუმბავი სადგურები იყენებდნენ.

პარტიის ყრილობის მუშაობის დღეებში ვოლგადონელებმა არხში წარმატებით გაატარეს ხე-ტყის დაცურების წარჩინებული ოსტატის ამხ. დოლმატოვის სისტემის 18 ტივი. ეს ტივები, რომლებიც განსაკუთრებით მკვიდრად არის შეკრული, პირველად გაატარეს არხში და ვარვაროვკის, ბერესლავკისა და კარპოვკის წყალსაცავებით—საუცხოო მდგომარეობაში ჩაიტანეს ვოლგიდან დონში.

ვოლგადონელები ახლა ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ. ისინი პირობას იძლევიან, რომ არხის ექსპლოატაციის დარჩენილ ოც დღეში საუცხოოდ მოამზადებენ ზამთრისათვის ყველა ჰიდროტექნიკურ ნაგებობას.

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

წელს ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოკრიფონ 21.245 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის 15 ოქტომბრის ცნობებით, მოკრეფილი იყო 20.103,9 ტონა ფოთოლი, გეგმის 94,6 პროცენტი.

ჩაის კრეფის წლიური გეგმა ამავე რიცხვისათვის გონიოს საბჭოთა მეურნეობას შესრულებული ჰქონდა 105,5 პროცენტით, სალიბაურის — 89,1, ჩაქვის—97,6, ოჩხამურის—100,5, ცეცხლაურის—94,2, აჩიგვარის—90,8, სიდის—116,1, მოქვის—80,9, ნატანების—88,0, ლაითურის—92,5, ნარუჯის—105,2, ნასაკირალის — 94,6, წულუკიძის—87,8, დიდიჯყონის—93,1, ლესიჭინის — 67,5, ინგირის—86,5, ონარიის—80,0, ნარაზენის —101,5, ხეცერის—108,9, წალენჯიხის—109,4, ხიბულის—111,3, გეჯეთის საბჭოთა მეურნეობას 29,0 პროცენტით.

სულ საბჭოთა მეურნეობებში ოქტომბრის პირველ ხუთდღიეულში მოიკრიფა 338,9 ტონა, მეორეში—402,2 ტონა, მესამეში კი 339,6 ტონა ჩაის ფოთოლი.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მიმართვის სრული ტექსტი. მიმართვაში ნათქვამია:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ლეიკ-საქსესი, ნიუ-იორკი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა, რათა კაცობრიობა იხსნას „ომის უბედურებისაგან“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ მას დააკისრა ვალდებულება დაიცვას მთელი მსოფლიოს მშვიდობა და უშიშროება და თავიდან აგვაშოროს აგრესიული ომები. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავისი არსებობის შვიდი წლის მანძილზე არა მარტო დაარღვია თავისი წესდების პრინციპები და არ შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულებანი, არამედ კიდევაც დაუშვა, რომ მისი სახელით წარმოებდეს ომი კორეაში.

ამ ომმა კორეასა და მის ხალხს მოუტანა მშვიდობიანი სოფლებისა და ქალაქების მასობრივი ნგრევა, უწესრიგო დაბომბვა და მხეცობა, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. საერთაშორისო სამართლისა და შეთანხმებათა დარღვევით, ჰუმანურობის ყველა პრინციპის დარღვევით კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში წარმოებს ბაქტერიოლოგიური ომი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება პატივს სცემს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობას და აღიარებს ყველა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის უფლებას. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ერთერთგზის დაარღვია ეს პრინციპი, წაუყრუა ბევრ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას, დაუშვა ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორის საშინაო საქმეებში და ბევრი ქვეყნის სუვერენული უფლებების დარღვევა მათი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების მიმართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არაფერი არ გაუკეთებია, რათა დაეცვა სუვერენიტეტი და უზრუნველეყო თანასწორუფლებიანობა აზიისა და წყნარი ოკეანის ბევრი ქვეყნისა, რომლებიც იბრძვიან ეროვნული განთავისუფლებისათვის. მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში იგი თვალს არიდებს სასტიკ ომებს ვიეტნამში, მალაიასა და სხვა ქვეყნებში და არავითარ ღონისძიებას არ იღებს სისხლისღვრის შესაწყვეტად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ვალდებულება აიკისრა განაზორციელოს და კონტროლი გაუწიოს შეიარაღების შემცირებას საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია, რომ შეესრულებინა თავისი ეს ვალდებულება. პირიქით, მან ნება მისცა ბევრ ქვეყანას უდიდესი მასშტაბით გაზარდონ თავიანთი შეიარაღება და ემზადონ ომისათვის. ხელახლა შეიარაღების ტვირთი მთელი სიმძიმით დაწვა მხრებზე ხალხებს და ზოგიერთ ქვეყანაში ცხოვრების დონის დაქვეითებისა და ზოგ ქვეყანაში კი აურაცხელი ტანჯვისა და სიღატაკის მიზეზი გახდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ შეასრულა მისთვის დაკისრებული ამოცანა — უზრუნველეყო ქვეყნებს შორის ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა. ამის ნაცვლად მან ნება მისცა ბევრ ქვეყანას დაედო ემბარგო და დაეწესებინა ბლოკადა ომისათვის მზადების მიზნით. ამან დაარღვია ნორმალური საერთაშორისო ვაჭრობა და გამოიწვია ეკონომიკის კრიზისი ზოგიერთ ქვეყანაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აგრეთვე არ შეასრულა ქვეყნებს შორის მეგობრული, კულტურული თანამშრომლობის უზრუნველეყოფის ამოცანა.

დარღვეულია თვით ის პრინციპი, რომელზეც აგებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება—ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობის პრინციპი. ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის მოსპობა და მუდმივი მშვიდობის უზრუნველეყოფა შეიძლება მხოლოდ ხუთი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების გზით, მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს იმ ქვეყნების მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ მისი აქციები და გადაწყვეტილებანი და უარს ამბობენ ცნონ ეს პრინციპი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აგრეთვე დაარღვია დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი, რადგან უარს ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და უშიშროების საბჭოში მიიღოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც 475-მილიონიანი ხალხის წარმომადგენელია.

პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უუნარობისათვის—დაიკვეს მშვიდობა, ყველა მის წევრს როდი ეკისრება. მთავარი პასუხისმგებლობა წესდების დარღვევისათვის ეკისრება მთავრობათა მეტად მცირე ჯგუფს, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობა მეთაურობს.

საქმის ასეთი მდგომარეობა მთელი მსოფლიოს ბევრი მთავრობისა და ხალხის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აი ამიტომ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 37 ქვეყნის 404 დელეგატი და მეთვალყურე, გამოხატავს რა აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონში მცხოვრები 1.600 მილიონი ადამიანის საერთო მიზეზრაფებას მშვიდობისადმი, შემდეგ წინადადებას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას:

1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა დაგმოს ისეთი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს მილიტარიზმის აღორძინებას იაპონიასა და დასავლეთ გერმანიაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აგრეთვე უნდა დაგმოს იაპონიასა და დასავლეთ გერმანიასთან სეპარატულ საზავო ხელშეკრულებათა დადება, რომლებიც მიზნად ისახავენ ომისათვის მზადებას. მან მთელი თავისი გავლენა უნდა გამოიყენოს, რათა მიაღწიოს იაპონიასა და გერმანიასთან ყველა დაინტერესებული ქვეყნის მიერ სამართლიან და ნამდვილ საზავო ხელშეკრულებათა დადებას. მშვიდობის უზრუნველსაყოფად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი უნდა დაუჭიროს იაპონელ ხალხს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, თავისუფალი და მშვიდობისმოყვარე ახალი იაპონიის მშენებლობაში, მხარი დაუჭიროს გერმანელ ხალხს დამოუკიდებელი, ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ახალი გერმანიის შექმნის საქმეში.

2) გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა მიაღწიოს სამართლიან და გონივრულ საფუძველზე დაზავებას კორეაში. კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ამერიკელ დელეგატთა გაუმართლებელ საქციელს, რომლებმაც ცალმხრივად გადადეს მოლაპარაკება დაზავების შესახებ, ბოლო უნდა მოეღოს; ორივე მხარის ყველა სამხედრო ტყვე უსიტყვოდ უნდა იქნას რეპატრიირებული ჟენევის 1949 წლის კონვენციის პირობების შესაბამისად; უცხოეთის მთელი ჯარები, მათ შორის ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები, გამოყვანილ უნდა იქნან კორეის ტერიტორიიდან, და კორეელ ხალხს უნდა მიეცეს თავისუფლება—თვითონ გადაჭრას საკუთარი საქმეები.

3) გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა უზრუნველეყოფილ იქნას უცხოეთის მთელი ჯარების გამოყვანა და საომარი მოქმედების შეწყვეტა ვიეტნამში, მალაიასა და სხვა ქვეყნებში, აგრეთვე უზრუნველეყოს სამართლიანი და გონივრული მოწესრიგება მოლაპარაკების გზით, დაამყაროს ამ ქვეყნების სამართლიანი მოთხოვნა მათთვის ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

4) გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეფექტიანი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა უზრუნველეყოს შეიარაღების საყოველთაო და კონტროლირებული შემცირება, აკრძალოს ბაქტერიოლოგიური, ატომური და ქიმიური იარაღის, აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის წარმოება და ხმარება და მიაღწიოს იმას, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც ჯერ არ დაუმტკიცებიათ „ომში ომში მახრჩობელა, შხამიანი თუ სხვა ასეთი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებათა გამოყენების აკრძალვის შესახებ“ (ჟენევა, 1925 წლის 17 ივნისი), დაუყოვნებლივ დაამტკიცონ იგი.

7) გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე აღდგენილ იქნას ქვეყნების ნორმალური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. საჭიროა მოისპოს ყველა ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკურ ურთიერთობას, მათ შორის ემბარგო და ბლოკადა.

დარწმუნებული არიან რა, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემისა და ცხოვრების სხვადასხვა წესის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხები მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანას — დაიკვან და განახორციელონ წესდების პრინციპები. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღიდგინოს დაკარგული პრესტიჟი და გახდეს საყოველთაო მშვიდობის დაცვის ავტორიტეტიანი ორგანო.

ხალხები მტკიცედ მოითხოვენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იხსნას კაცობრობა ომის უბედურებისაგან.

პეკინი, 1952 წლის 12 ოქტომბერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის გამო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშის . მესამე წლისთავი

ბერლინი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული პრესა აღნიშნავს მესამე წლისთავს იმ დღიდან, როცა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის გამო.

ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დაბეჭდა სტატია, რომელშიც გამოჰყოფს ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში“.

„განვლილმა სამმა წელმა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი,—დაამტკიცა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ნამდვილად გახდა ახალი ხანის დასაწყისი გერმანელი ხალხის ისტორიაში და ევროპის ისტორიაში“.

„ეჭვი არ არის,—წერს დასასრულ გაზეთი, — რომ ჩვენ მოვიპოვებთ გამარჯვებას, თუ გერმანელი ხალხი საბჭოთა კავშირთან მტკიცე მეგობრობით განაგრძობს ბრძოლას თავისი სამართლიანი საქმისათვის“.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად გაატარებენ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ჭრის წინააღმდეგ ფრონტების ცალკეულ უბნებზე.

ჩხოლვონის რაიონში ლისინმანელთა ჯარების დაახლოებით ერთმა პოლკმა ათი თვითმფრინავის, აგრეთვე ტანკების დახმარებით ექვსჯერ მოიტანა გაფთრებული იერიში, მაგრამ მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ამასთან მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დაზიანეს 7 თვითმფრინავი.

ამერიკის თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს კორეის ქალაქები და სოფლები

ფხენიანი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ჰაერის ამერიკელი მეკობრენი კვლავ ბარბაროსულად ბომბავენ ჩრდილოეთ კორეის ქალაქებსა და სოფლებს.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს თავისი ვონსანელი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს ქალაქი. 8 ოქტომბერს ამერიკის 300-ზე მეტმა თვითმფრინავმა გაფთრებით დაბომბა ვონსანი და მისი მიდამოები. თავდასხმის დროს, რამაც რამდენიმე საათს გასტანა, მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მოსახლე, რომელთა მეტი წილი ქალები და ბავშვებია. ნანგრევებად არის ქცეული ან გადაბუგულია ათობით საცხოვრებელი შენობა და მიწური, ვეებერთელა ფართობზე მოსპობილია ბრინჯისა და გაოლიანის ნათესები.

9 ოქტომბერს ამერიკის ავიაცია კვლავ დაესხა თავს ვონსანსა და მის მიდამოებს. ამ მასირებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენერალური ასამბლეის მე-7-ე სესიაზე

(14 ოქტომბრის დღის სხდომა)

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 14 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის ღღის სხდომაზე აირჩიეს გენერალური ასამბლეის მუშა კომიტეტების თავმჯდომარეები.

პირველი კომიტეტის (პოლიტიკური საკითხთა და უშიშროების საკითხთა) თავმჯდომარედ არჩეულია ბრაზილიის დელეგატი მენეზი, სპეციალური პოლიტიკური კომიტეტისა—სპერძნეთის დელეგატი კარუ, მეორე კომიტეტისა (ეკონომიკის და ფინანსების საკითხთა)—ჩეხოსლოვაკიის დელეგატი ნოსეკი, მესამე კომიტეტისა (სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა) — პაკისტანის დელეგატი ალი, მეოთხე კომიტეტისა (მეურვეობის საკითხთა)—არგენტინის დელეგატი მენენისი, მეხუთე კომიტეტისა (დამნინისტრაციულ და სბიუჯეტო საკითხთა) — ფილიპინების დელეგატი რომულო და მეექვსე (იურიდიული) კომიტეტისა—ტაილანდის დელეგატი ვან ვაიტხაიაკონი.

სხდომის მსვლელობაში ასამბლეის თავმჯდომარემ პირსონმა უხმოდ დაარღვია პროცედურის წესები იმით, რომ შეიტანა წინადადება შეუყვანილ იქნას გენერალური კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრების შეუყვანის საკითხი გენერალურ ასამბლეას შეუძლია გადაწყვიტოს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამ საკითხს განიხილავს ასამბლეის ერთ-ერთი მუშა კომიტეტი. საბჭოთა წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ ეს საკითხი განახილველად გადაეცეს ასამბლეის ერთ-ერთ მუშა კომიტეტს, მაგალითად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. საბჭოთა დელეგაციამ, თქვა ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ უკვე პირველ სხდომაზე თავმჯდომარემ სერიოზულად დაარღვია ასამბლეის მუშაობის წესრიგი და წესი.

თავმჯდომარემ კვლავ სცადა თავისი გადაწყვეტილება კენჭისყრელად თავს მოეხვია ასამბლეისათვის. მაგრამ მან ვერ შეძლო რაიმე საბუთი მოეყვანა თავისი უკანონო მოქმედების გასამართლებლად.

საბჭოთა წარმომადგენელმა კვლავ მიიქცია ასამბლეის დელეგატთა ყურადღება თავმჯდომარის მიერ პროცედურის წესებისა და ასამბლეის სხდომების წარმართვის მიღებული წესის უხეშად დარღვევის ფაქტს და მოითხოვა თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება.

თავმჯდომარე იძულებული გახდა მოეწყო თავისი გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის სახელმძღვანელო კენჭისყრა. კენჭისყრამ ცხადყო, რომ თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებას მხარი დაუჭირა 25 დელეგაციამ, 8 დელეგაციამ თავი შეიკავა.

გადაწყვეტილების გაუქმებას ხმა მისცეს საბჭოთა კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ლათინური ამერიკის 9 ქვეყნის (არგენტინის, ბოლივიის, ჩილის, ეკვადორის, სალვადორის, გვატემალის, პერუს, მექსიკის, ურუგვაის). ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, ირანის, ერაყის, ისრაელის, ფილიპინების, საუდის არაბეთის, იემენის, ეგვიპტის, ეთიოპიის დელეგაციებმა.

თავი შეიკავეს საფრანგეთის, ავღანეთის, პაკისტანისა და სხვა დელეგაციებმა.

ინგლის-ამერიკის ბლოკმა თავმჯდომარის გადაწყვეტილების სასარგებლოდ შეაგროვა მხოლოდ 27 ხმა.

სხდომის დასასრულს გაიმართა ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილეთა არჩევნები.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჰონდურასისა და ეგვიპტის წარმომადგენლები. გარდა ამისა, ინგლის-ამერიკის დაჯგუფებამ მოადგილედ გაიყვანა გომინდანელი.

ინკერიის ნოტა ირანისადმი

ლონდონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკისათვის 14 ოქტომბერს გადაცემულ ნოტაში ინგლისის მთავრობამ უარყო ირანის მთავრობის მოთხოვნა 49 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდის შესახებ და უარი თქვა გაგზავნოს თეირანში მისია მოსალაპარაკებლად, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება.

ორშაბათს, 20 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში მოეწყობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული, მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ეკონომიკურ მეცნიერებათა ლექტორების მუდმივმოქმედი სემინარების გაერთიანებული მეცადინეობა. მოხსენებას თემაზე „ი. ბ. სტალინი სოციალიზმის ეკონომიკური კანონების შესახებ“ წაიკითხავს დოცენტი ი. ბაჯაძე.

რედაქტორი გ. შერკვილაძე.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი“

ქაღალდზე ინდივიდუალური ხელმოწერის მიღება

ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებზე 1953 წლისათვის.

ხელის მოწერა მიიღება კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებში და საგენტოებში, ფოსტალიონების, კოლმეურნეობების წერილების დამტარებლების საშუალებით და გამოცემათა საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან ფაბრიკებში, ქარხნებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში.

ხელმოწერა მიიღება ცენტრალურ გამოცემებზე 10 დეკემბრამდე, რესპუბლიკურზე—20 დეკემბრამდე, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე—25 დეკემბრამდე.

„სოიუზპეჩატი“.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

18 ოქტომბერს	ჯ. ვერდი—**რიგოლეტო**
19 ოქტომბერს	დღისით, ვ. დოლიძე—**ძმათა და კოტე** საღამოს, კრეინი—**ლაურენსია**

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — სამშობლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი; **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერ სიცრუეთა დღე (აბონემენტი 19, 20); **მუსიკალური კომედიის** — ერთხელ გაზაფხულზე; **სომხური დრამის** — საიათნოვა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პატარა მეომრები (აბონემენტი 10, დასაწყისი 10 ს.); მშვიდობის მტრედები (აბონემენტი 30, დასაწყისი 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—მისი მეგობრები (დასაწყისი 10 ს.), წინ, უშიშარნო! (დასაწყისი 4 ს.); **სანიტარული კულტურის** — მცდარ გზაზე.

მოქალაქე დარია ეგორის ასულმა გოგებაშვილმა, მცხოვრებმა კიკეთის ქ. № 30, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ოლიფანტე ბათლომეს-ძე გოგებაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

დედა მარიამ, ძმები ივანე, სანდრო, და თალიკო ბალანჩივაძეები, ე. ქუთათელაძე, ქ. ჯიშკარ